ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XIV
თბილისი. 2018

ევგენი ჭანიშვილი
თსუ

დავით ალექსანიანი
აღმოსავლური ნუმიზმატიკის ასოციაციის წევრი

შაჰ აბას I-ის ზაგემის ზარაფხანის ახალი სამონეტო ემისიები

საქართველოში XVI საუკუნედან მუშაობას იწყებს კიდევ ერთი ქართული, ზაგემის,[1] ზარაფხანა, რომელმაც, როგორც ბოლო კვლევებით აღმოჩნდა, უხვი სამონეტო მემკვიდრეობა დაგვიტოვა როგორც ვერცხლის, აგრეთვე სპილენძის ემისიებში, რომელთა ახალი ცალები და სახესხვაობები აქტიურად ქვეყნდება მსოფლიოს სხვადასხვა სამეცნიერო კრებულში. თუმცა, აღნიშნული მონეტების სიუხვის გამო, ბევრი ახალი ეგზემპლარი კიდევ შესასწავლი და გამოსაქვეყნებელია. ჩვენი მიზანია, აღვწეროთ შაჰ აბას I-ის ვერცხლის სამონეტო ემისიების მხოლოდ ახალი ცალები და სახესხვაობები.

კახეთის სამეფოში საკუთარი ზარაფხანის არსებობის შესახებ პირდაპირ ცნობებს ირანელი ისტორიკოსი, ისქანდერ მუნში გვაწვდის – „შვიდი საქართველოდან კახეთმა, ქართლმა, მესხეთმა, რომელთა ურწმუნო ქართველები რჯულის მასახელებელთა ისერებით დაიხოცნენ, ქედზე მორჩილების უღელი დაიდგეს. იმათმა მმართველებმა ქვეშევრდომობა იკისრეს, იმ დიდებული ბატონის ხელიდან მიიღეს ძალაუფლება, ხარაჯისა და ჯიზიას გადახდა დაივალეს, ხუტბა იმ სახელოვანი და მაღალადგილოვანი ბატონის სახელზე აღავლინეს და ფულიც იმის სახელით დაამშვენეს“.[2]

[1] ადრეულ ქართულ წყაროებში მოხსენიებული, როგორც ბაზარი XV-XVI საუკუნეებში კახეთის სამეფოს მნიშვნელოვანი სავაჭრო-ეკონომიკური ცენტრი, ხოლო XVI საუკუნეში კახეთის სამეფოს დედაქალაქი იყო. დღევანდელი სოფ. ზაგამი (Zəyəm), აზერბაიჯანი.

[2] ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ. ვ. ფუთურიძეს თარგმანი. თბ. 1964, გვ. 14.

ზაგემის ზარაფხანაში პირველი მონეტა თაჰმასპ I-ის (1524-1576) სახელზე მოიჭრა,[3] აქედან მოყოლებული აქტიურად იწყება სამენეტო ემისიების გამოშვება. რაც შეეხება შაჰ აბას I-ის (1587-1629) ემისიებს, პირველად ფუნდამენტურად მკვლევარმა თ. ქუთელიამ აღწერა და გამოყო ორი სამონეტო ემისია, ნომინალებით აბბასი (7,76 გრ.-7,5გრ.) და მუჰამმადი (3,8 გრ.).

პირველ ახალ სამონეტო ტიპს, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ნომინალით ერთ აბბასს წარმოადგენს (სურ. 7, სურ. 8). აღწერილობა შემდეგნაირია:

შუბლი: ფიგურულ ჩარჩოში ჩასმული შიიტური რწმენის ფორმულა, ოღონდ აღნიშნულ ცალებზე სიტყვა رسول (მოციქულის) მაგივრად, ჩასმულია სიტყვა نبی წინასწარმეტყველი.

لا اله الا الله محمد نبی الله علی ولی الله

არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი წინასწარმეტყველია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

სეგმენტებში 12 იმამის სახელი: حسین محمد علی / علی جعفر محمد / حسن علی موسی / علی حسن محمد

ალი, ჯაფარი, მუჰამედი / ჰუსეინი, მუჰამედი, ალი / ალი, ჰუსეინი, მუჰამედი / ჰუსეინი, ალი, მოსე (მუსა).

ზურგი: ცენტრში სწორკუთხა ოვალური ჩარჩოში მოთავსებულია შემდეგი წარწერა:

شاه بنده و لایت عباس ضرب زگم

ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.

ჩარჩოს თავზე წარწერა: გაახანგრძლივოს ღმერთმა მისი მმართველობა

حلد الله ملکه

ჩარჩოს ქვემოთ: მისი ძალაუფლება, მისი სამართლიანობა და მისი მოწყალება

سلطانه وعدله واحسانه

[3] თ. დუნდუა, გ. დუნდუა. ქართული ნუმიზმატიკის კატალოგი. IV ნაწილი. თბ. 2015, გვ. 16.



სურ. 1

მონეტის რეკონსტრუქცია

საინტერესოა, რომ აღნიშნულ მონეტაზე ქალაქ ზაგემის დამწერლობა, რომელიც სტანდარტულისგან საგრძნობლად განსხვავდება. იგი დაწერილია არა زگم ან گمز (აგრეთვე სახელის სპეციფიკური დამწერლობა), როგორც ეს თ. ქუთელიას აქვს აღწერილი,[4] არამედ როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ვერტიკალურად დაწერილი ასოები. ასო მიმ-ს (م) წაგრძელებული აქვს კუდი რომელზეც მოთავსებულია ასოები.

სურ. 2

ან შეიძლება მეორე მოსაზრებით, აღნიშნული ასო მიმ-ის წაგრძელება მივიჩნიოთ ალეფად (ا), ხოლო დამწერლობის სახე კი შემდეგნაირად زكام. თუმცა, პირველი ვარიანტი უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. უშუალოდ მონეტა ნასხის დამწერლობით არის შესრულებული, ხოლო ჰიჯრით თარიღი არ არის დატანილი.

საინტერესოა კიდევ ერთი ახალი მონეტა (სურ. 9), ნომინალით ერთი აბბასი, რომელსაც აგრეთვე ზემოთ ნახსენები, ზაგემის სახელის, სპეციფიკური დამწერლობა აქვს. ზარაფხანის სახელი - زگم გრაფემებით - „ზგმ“ (ზა-

[4] Т. С. Кутелия. Грузия и сефевидский Иран. Тбилиси 1979. გვ. 16-20.

გემ) დაწერილია შემდეგნაირად - گمز გრაფემებით „გმზ“. მონეტა დაზიანებულია და არ ახლავს მოჭრის თარიღი. მონეტის აღწერილობა:

წონა – 7,67გრ.

შუბლი: შიიტური რწმენის ფორმულა – არ არის ღმერთი გარდა ალლაჰისა, მუჰამმადი წინასწარმეტყველია ალლაჰისა, ალი თანაგამზრახია ალლაჰისა.

لا اله الا الله محمد نبی الله علی ولی الله

ზურგი: ცენტრალური წარწერა - ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.

شاه بنده ولایت عباس ضرب گمز

ვიძლევით მონეტის რეკონსტრუქციას:



სურ. 3

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თ.ქუთელიამ თავდაპირველად აღწერა ზაგემში მოჭრილი ვერცხლის მონეტების ორი ნომინალი (აბბასი და მუჰამმადი) თუმცა, ბოლო აღმოჩენებით, კახეთში სეფიანთა მონეტების ახალ ეგზემპლარებთან[5] ერთად, ახალი ნომინალებიც აღმოჩნდა.

მათ შორის ჩვენ მიერ აღწერილი ახალი სამონეტო ტიპის ახალი ნომინალი - ერთი შაჰი (სურ. 10), რომელიც ერთი აბბასს წარმოადგენს, მონეტის ლეგენდების მნიშვნელობა სურ. 7 და სურ. 8 მონეტის ინდეტურია.

[5] И. Пагава, С. Туркиа. Новые данные о Чеканке Сефевидской монеты в царстве Кахети. Расмир: Восточная нумизматика. 1-я международная конференция. 29-31 июля 2011 г. ред. И. Пагава, В. Безпалько. Одесса: ТДМ. 2013, გვ. 105-112.

წონა 1,83 გრ. დიამეტრი 15 მმ. მონეტა გახვრეტილია, რაც ძველად საკმაოდ ხშირი მოვლენა იყო, განსაკუთრებით აღმოსავლეთში.[6] ვიძლევით რეკონსტრუქციას:



სურ. 4

დახვეწილი კალიგრაფიით არის შესრულებული კიდევ ერთი ახალი სამონეტო ტიპი (სურ. 11), ნომინალით - ერთი შაჰი. რომელსაც აგრეთვე არ გააჩნია თარიღი.

წონა- 1,98 გრ. დიამეტრი 15,3 მმ.

შუბლი: წრიულ ჩარჩოში მოთავსებულია შიიტური რწმენის ფორმულის ნაწილი

على ولى الله

წრიული ჩარჩოს ირგვლივ რწმენის ფორმულის დანარჩენი ნაწილი

لا اله الا الله محمد نبى الله

ზურგი: ცენტრალური ლეგენდა: ქვეყნიერების მეფის მონა აბბასი, იჭედა ზაგემს.

شاه بنده ولايت عباس ضرب زگم

ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი მონეტები შესრულებული იყო სტანდარტული დამწერლობით, მაგრამ ხშირად შაჰ აბას I-ის სახელით მოჭრილი

[6] XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოს ტერიტორიაზე არა ერთი შემთხვევაა დაფიქსირებული ვერცხლის მონეტების, მათი მიმოქცევიდან ამოღების შემდეგ, საყოფაცხოვრებო ნივთებად გადაკეთების. მაგალითად, ჩვეულებრივ მოსართავებად, კულონებად, ღილებად, საყურეებად და ა.შ. რაც, განსაკუთრებით ხშირია დაბალი ნომინალის მქონე მონეტების შემთხვევაში.

მონეტები საკმაოდ უხეში სიქით არის დამზადებული, რის გამოც მონეტებზე ლეგენდები ცუდად არის დატანილი. ეს კარგად ჩანს ერთი შაჰის ნომინალის ახალ ქვეტიპებზეც. ვიძლევით რეკონსტრუქციას (სურ. 5):



სურ. 5

წონა - 1,73 გრ. დიამეტრი - 14,9 მმ. თარიღი არ იკითხება.

საყურადღებოა, რომ აღნიშნულ მონეტაზე დარტყმულია მხოლოდ ორი განსხვავებული ზურგის მხარე, ხოლო შიიტური რწმენის ფორმულა, რომელიც ჩვენ მიერ აქამდე განხილულ ყველა მონეტაზე გვხვდებოდა, საერთოდ ამოღებულია. აღნიშნული ცალი ნომინალით ერთი აბბასი ჯერ კიდევ მკვლევარ თ. ქუთელიას აქვს აღწერილი, მაგრამ მისი უფრო დაბალი ნომინალური ერთეული ერთი შაჰი (სურ. 12) აქამდე ცნობილი არ იყო.

აბას I-ის აღნიშნული ემისიებიდან ჩვენ მივაკვლიეთ კიდევ ერთი ახალ ქვეტიპს ნომინალებით ერთი აბბასი (სურ. 13), წონა – 7,4 გრ., დიამეტრი 24,7 მმ., აგრეთვე ნომინალით ერთი შაჰი (სურ. 14), წონა – 1,85გრ., დიამეტრი – 16,9მმ., რომელებიც გაცილებით უხეში სიქებით არის შესრულებული, მაგრამ ორივეს შერჩენილი აქვს მოჭრის თარიღი – 1011 წელი ჰიჯრით (=1602 წ.), რომელიც უმეტეს შემთხვევაში მონეტების ცუდი შენახულობის გამო არ იკითხება. მონეტაზე არსებული სხვა ლეგენდები სტანდარტულია და არ შეიცავს რაიმე სახის სიახლეს ან სახესხვაობას.

შაჰ აბას I-ის ლაშქრობების შემდეგ კახეთის სამეფოს ეკონომიკური აღმავლობა საგრძნობლად და დიდი ხნით დაქვეითდა. რა თქმა უნდა, კრიზისი შეეხო ქალაქ ზაგემსაც, რომელმაც დროთა განმავლობაში დაკარგა ეკონომიკურად მნიშვნელოვანი ქალაქის სტატუსი, დაკნინდა და გაუკაცრიელდა. თუმცა დიდი ხნის განმავლობაში ქ. ზაგემის სახელი ცნობილი იყო არამხო-

ლოდ აღმოსავლეთში არამედ ევროპაშიც კი. ჩვენთვის ცნობილ ყველაზე ადრეულ ოსმალურ ატლასზე ქ. ზაგემი კახეთის მთავარ ქალაქად არის დატანილი (სურ. 6).[7] მართალია, სამონეტო ემისიების გამოშვება სეფიანი მმართველების საზელით კახეთის ვასალობას ნიშნავდა, მაგრამ ეს დამოკიდებულება მაინც პირობითი იყო, რადგან მონეტები იჭრებოდა კახეთის მეფეების მიერ, რაც კარგად ჩანს ზაგემის სპილენძის ემისიებში, ხოლო ვერცხლის მონეტები ფართო მიმოქცევაში იმყოფებოდა კახეთის სამეფოს ფარგლებს გარეთაც.

სურ. 6

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ზაგემის ზარაფხანაში გამოშვებული სამონეტო ემისიების კვლევა დღემდე აქტიურად მიმდინარეობს. ბევრი მონეტა ჯერ კიდევ აღმოსაჩენი, შესასწავლი და გამოსაქვეყნებელია. სამწუხაროდ არსებული ეგზემპლარების საგრძნობი რაოდენობა საკმაოდ დაზიანებულია, რის გამოც რთულდება აღნიშნული ცალების სრული გაშიფრვა და მათი ამა თუ იმ მართველისადმი მიკუთვნება.

[7] А. В. Акопян, Д. Л. Алексанян. Гянджиский клад и медний чекан кахеминсково царства. эптграфика востока. XXXI. Москва. 2015, გვ. 4-5.

სურ. 7

სურ. 8

სურ. 9

სურ. 10

სურ. 11

სურ. 12

სურ. 13

სურ. 14

Evgeni Chanishvili
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

David Alexanian
Member of Oriental Numismatic Society

THE NEW COINS OF ABBAS I FROM THE MINT OF ZAGEMI

Summary

From the 16th century another mint, Zagemi, started to operate in Georgia. Recent studies have shown that the mint left a rich monetary heritage, both in silver and copper emissions. Its new specimens are actively being published in many scholarly works, but a lot of new coins are yet to be studied. Our goal is only to describe the new specimens of the silver coinages of Abbas I and present their history.

The first coin in Zagemi was minted by the Persian Shah Tahmasp I. Since that time, the city started to circulate its own coins. The main source about that is shown from the works of Persian historian of Turkmen origin Iskandar Munshi, where he reports that Georgian kingdoms were conquered, and the kingdoms of Kakheti, Kartli and Meskheti minted coins in the name of their master (conqueror).

The first work about the coins of Kakheti kingdom (eastern Georgia) belongs to T. Kutelia, who perfectly describes the newly found silver Zagemi coins (and also the coins of Abbas I) and allocated the two main denominations – one abbasi (weighting ca. 7.76 g.-7,5 g.) and one muhammadi (weighting ca. 3.8g.).

The first new type of the coin which we want to describe is one abbasi (pic.7; pic.8) with no year of issue.

Av. Shia religious formula in four lines, where the word رسول (messenger) was changed by نبی (prophet).

– There is no God but Allah alone, Muhammad is the prophet of Allah, ‘Ali is the wali of Allah.

لا اله الا الله محمد نبی الله علی ولی الله

Rv. In the center Persian text – Slave of the king of purity, Abbas, struck at Zagemi.

بنده شاه و لایت عباس ضرب زگم

Around another Persian formula and the names of twelve Shia Imams.

The unique in that coin is the way how the name of Zagemi is depicted. All letters are written separately and placed on the elongated ending of the letter mim - م (pic. 2). The description of that word on Abbas I's coins by T. Kutelia, it was known as زگم or گمز.

Also new researches show that the coins in the name of Abbas I were struck in another denomination – one shahi (1/4 of abbasi). We found an almost identical coin to what we have described (pic. 7, pic. 8) above (one abbasi), but which is of shahi (pic.10) denomination (weight 1.98 g.).

Also, another new coin with shahi denomination (1.73 gr.) is interesting (pic. 12), as it also does not have the date of issue. Two different dies were used, while the Shia creed of faith was removed.

The last type (two coins), which we describe, are in two different denominations: one abbasi (pic.13) and one shahi (pic14). It is notable that both of them contain the minting date as 1011 AH. (= 1602) which is rare due to the bad condition of those coins.

As a conclusion, it could be said that Zagemi was the main strategic city in Kakheti kingdom, which is clearly shown on the Ottoman map (pic. 6). However, after the conquests of Abbas I, Kakheti kingdom weakened mainly due to the crisis in the capital Zagemi. The city gradually lost its economic importance and was later on deserted. But the huge heritage left by the Zagemi mint still has to be well researched.